საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს ეროვნული არქივი

2010 წლის ანგარიში

ეროვნული არქივი - 2010 წელი

ეროვნული საარქივო ფონდების დაცვა და გამდიდრება, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესება, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, საზოგადოების ინფორმირებულობა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი 2010 წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია ეროვნული არქივის მუშაობის შედეგები.

მოქალაქეთა მომსახურება

საქართველოს ეროვნული არქივი ყოველწლიურად 30 ათას მოქალაქეს ემსახურება. ეროვნულ საარქივო ფონდში დაცულ მასალებს წელიწადში 300 მკვლევარი ეცნობა, მათ შორის 10% უცხოელი მკვლევარია.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელი გახდა ეროვნული არქივის მომსახურების დახვეწა.

დაჩქარებული და დისტანციური მომსახურებით უკვე სარგებლობს საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა. მოქალაქეს აღარ უწევს ქალაქიდან ქალაქში გამგზავრება, მისთვის სასურველი ცნობის მიღება უკვე შეუძლია მასთან ახლოს მდებარე ნებისმიერ არქივში.

2011 წლიდან:



✓ მომხმარებლისათვის შესაძლებელი გახდება საარქივო ცნობის მისაღებად განაცხადის ონლაინ წარდგენა, საფასურის ვებგადახდა და ელექტრონული დოკუმენტის მიღება. ვებმომსახურებით მიღებულ და ამობეჭდილ ცნობას ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ოფისებიდან გაცემულ ბეჭედდასმულ დოკუმენტს.

✓ ეროვნული არქივის ვებგვერდზე: www.archives.gov.ge-ზე განთავსდება არქივში დაცული უნიკალური ფოტომასალის საძიებო ვებსისტემა, რაც მომხმარებელს გაუიოლებს სასურველი ფოტოს შერჩევას. ამ დროისათვის საძიებო სისტემაში შესულია 10 ათასზე მეტი ფოტო.

✓ ეროვნულ არქივში დაცული ფონდების ქართულენოვანი ელექტრონული აღწერები www.archives.gov.ge-ზე იქნება ხელმისაწვდომი, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, ონლაინ რეჟიმში გაეცნონ ინფორმაციას ეროვნულ არქივში დაცული ფონდების შესახებ.

ეროვნული საარქივო ფონდის გამდიდრება

2010 წელი ნაყოფიერი იყო ეროვნული საარქივო ფონდის გამდიდრების კუთხითაც. საქართველოს ეროვნულ არქივს არაერთი საინტერესო ფონდი შეემატა, მათ შორის არის: კომპოზიტორ სულხან ცინცაძისა და აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირადი ფონდები, „ქართული ფილმის“ დოკუმენტები,

მხატვარ თენგიზ ქართველიშვილის აფიშებისა და პლაკატების კოლექცია, 1956-1987 წლებში გადაღებული 100-მდე ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმის აფიშა და საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ათი წლის ფოტოარქივი.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ არქივს საქართველოს კინოცენტრის წარმომადგენლებმა და დოკუმენტური ფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ რესტავრაციის ინიციატორებმა, კინორეჟისორმა ნანა ჯანელიძემ, მარინა

კერესელიძემ და ნინო ნატროშვილმა კინოფილმის აღდგენილი ციფრული ასლი, პოზიტივი და ნეგატივი შესანახად გადასცეს.

საერთაშორისო ურთიერთობები

2010 წელს გაღრმავდა ურთიერთობები როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა: შვეიცარიის, ჩეხეთის, ირანის ისლამურირესპუბლიკის, ეგვიპტის, უკრაინის ეროვნულ არქივებთან. საქართველოს ეროვნული არქივის

დელეგაციები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში: „არქივები საზღვრებს გარეშე“; „საარქივო საქმისა და ციფრული ეპოქის ურთიერთქმედება“; „ნდობა და ხელმისაწვდომობა. ციფრული ინფორმაციის მართვის თანამედროვე სისტემა“.

ეროვნულ არქივმა ირანის ისლამური რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული არქივების დელეგაციებს უმასპინძლა და გამოცდილება გაუზიარა.

გარდა ამისა, დაიწყო მოლაპარაკება ფინეთის, სლოვაკეთისა და იაპონიის ეროვნულ არქივებთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე.

დოკუმენტების რესტავრაცია

რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში არაერთი უნიკალური დოკუმენტის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაო ჩატარდა.

რესტავრირებულია მე-18 საუკუნის სამართლის, წყალობისა და შეწირულების წიგნები, ასევე გიორგის მეორის წყალობის სიგელის პირი, უნიკალური ხელნაწერი „ეფრემ ასური და ლავსაიკონი“.

ამ პერიოდში რესტავრაცია ჩაუტარდა ნიკოლოზ საღარაძის ფოტოალმბომებსაც, სადაც წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისში, ალექსანდრე მიხაილოვის ფოტოატელიეში გადაღებული ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები.

ინფრასტრუქტურის განვითარება

2010 წელს ინფრასტუქტურის განვითარება დოკუმენტების დაცვის პირობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ტექნიკური განყოფილების 15 000-ზე მეტი საქმე ახალ საცავში განთავსდა. დაიწყო არქივების რეგიონალიზაცია და, შედეგად, გაუმჯობესდა დოკუმენტების შენახვის პირობები სხვადასხვა ადგილობრივი არქივის საცავში.

2011 წელს ლილოში გაიხსნება თანამედროვე სტანდარტების არქივი, რომელშიც განთავსდება 11 ადგილობრივი არქივის დოკუმენტები.

ეროვნულ არქივში დაცული მასალების ხელმისაწვდომობა

ეროვნული საარქივო ფონდის მასალების საზოგადოებისათვის გასაცნობად გაიმართა არაერთი გამოფენა, მათ შორის: „ვახტანგ ჭაბუკიანი - 100“; „ქვაშვეთის ტაძრის

საიუბილეოდ“, „მრავალეროვანი თბილისი“, „სამართლებრივი ძეგლები“. ამასთან, ვარშავაში, პოლონეთის ეროვნულ არქივთან

ერთად, მოეწყო გამოფენა „პოლონელი მოღვაწეები საქართველოში“.

დაიბეჭდა ეროვნული არქივის პერიოდული გამოცემა „საისტორიო მოამბე“, სადაც შესულია სამეცნიერო სტატიები ეროვნულ საარქივო ფონდში დაცულ მასალებთან დაკავშირებით.

დაიწყო მუშაობა სხვადასხვა გამოცემის მოსამზადებლად: „ქართული გვარების გენეალოგია“; „XI-XVIII საუკუნეების ქართულ საბუთებზე არსებული ხელრთვების კატალოგი“, „საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები“, ქართველ მწერალთა ფონოჩანაწერები.



ეროვნულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე რეჟისორმა გიორგი კაკაბაძემ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მშობლიური ქვეყანა“, რომელმაც კიევის მე-8 საერთაშორისო მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე „პოკროვი“ „განსაკუთრებული ხედვისათვის“ პრიზი მიიღო. ფილმი ასახავს ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ორსაუკუნოვან მატიანეს.

ეროვნულ საარქივო ფონდში დაცული მასალების საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად 2010 წელს დაიწყო ახალი პროექტი - ფონდებისა და კოლექციების მიმოხილვა. ეროვნული არქივის საიტზე ყოველკვირეულად ქვეყნდება საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისისა და თბილისის ცენტრალური არქივების ერთი ფონდისათუკოლექციისმიმოხილვა. უკვე გამოქვეყნებულია ამ ტიპის 20-ზე მეტი ინფორმაცია.



თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1, ტელ.: +(995) 32 14 05 05
Tbilisi, Vazha-Pshavela av.1 Tel.: +(995) 32 14 05 05
www.archives.gov.ge
E-mail: info@archives.gov.ge